



29.07.09

## არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელის (ENEMO) განცხადება მოლდავეთის რესპუბლიკის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგების შესახებ

ENEMO-ს სადამკვირვებლო მისია ოფიციალურად აცხადებს, რომ უარს ამბობს განახორციელოს მონიტორინგი მოლდავეთის რესპუბლიკის ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. მისია აცხადებს, რომ იმ პირობებში, რომელიც შექმნილი იყო ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან, შეუძლებელია სრულყოფილი სადამკვირვებლო პროსესის განხორციელება. გარდა ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლების მხრიდან შექმნილი წინააღმდეგობისა, ENEMO-ს დამკვირვებლებზე დაფიქსირდა მუქარის შემთხვევები, კრიმინალური წარმომადგენლობის უცნობი პირების მხრიდან. ასეთ სიტუაციაში, მისიის ხელმძღვანელობას არ შეუძლია თავისი დამკვირვებლების უსაფრთხოების გარანტიის უზრუნველყოფა, მათ შორის მისიის აკრედიტირებული დამკვირვებლებისაც. შედეგად, იძულებულია შეწყვიტოს თავისი მუშაობა მოლდავეთის რესპუბლიკაში.

შესრულებული სამუშაოს შედეგებზე დაყრდნობით, მისია აცხადებს:

- მოლდავეთის რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წარმომადგენლებმა (შინაგან საქმეთა სამინისტრო, ცენტრალური საარჩევნო კომისია, მიგრაციის სამსახური) გადაამეტეს თავიანთ უფლებამოსილებას, დაარღვიეს ეროვნული კანონმდებლობა და არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტები და ნორმები.
- მოლდავეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ გამიზნულად შექმნა ისეთი პირობები, რომლებიც მოახდენდა საარჩევნო პროცესის დისკრედიტაციას და ეჭვქვეშ დააყენებდა საზოგადოების ნდობას არჩევნების შედეგებთან.
- გარდა საერთაშორისო დამკვირვებლების საქმიანობებზე ხელის შეშლისა, დაფიქსირდა მოლდავეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან დაუსაბუთებელი უარი, სხვადასხვა ორგანიზაციების დამკვირვებლებისათვის აკრედიტაციის გაცემაზე.
- ENEMO-ს მისიის წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოლდავეთის რესპუბლიკას აქვს სერიოზული პრობლემები, არჩევნების ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ჩატარების კუთხით.
- მიუხედავად მოლდავეთის ხელისუფლების მცდელობისა, საერთაშორისო დამკვირვებლების უარყოფითად წარმოჩენასთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი აზრი მოლდავეთში მხარს უჭერს საარჩევნო პროცესებზე საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებას. მოლდავეთის საზოგადოება ისწრაფვის გამჭვირვალე და სამართლიანი საარჩევნო პროცესებისკენ.

22 ივლისს, მოლდავეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, არჩევნებზე დაკვირვების მიზნით მიეწვია ENEMO-ს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია. მისიაში მონაწილეობაზე თანხმობა გამოთქვა 12 ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების 140-მა აქტივისტმა. მისიამ შემჭიდროვებულ ვადებში მოახერხა ყველა განსაზღვრული ვადის დაცვით, საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა, რომელიც გათვალისწინებული იყო ეროვნული კანონმდებლობით.

თუმცა, მოლდავეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყოველგვარი დასაბუთებისა და ახსნა-განმარტების გარეშე, უარი განუცხადა ENEMO-ს მისიას, დამკვირვებელთა დიდი ნაწილისთვის აკრედიტაციის გაცემაზე. 140 წარმომადგენლიდან, ოფიციალური საერთაშორისო დამკვირვებლის სტატუსი მიიღო მხოლოდ 53-მა. აკრედიტაციაზე ასევე უარი ეთქვა მისიის ხელმძღვანელს - სერგეი ტკაჩენკოსაც.

ENEMO-ს საერთაშორისო დამკვირვებლების აკრედიტაციის შესახებ ინფორმაცია, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გააჟღერა მხოლოდ 2009 წლის 28 ივლისს. გადაწყვეტილება შეიცავს ცესკო-ს წინა გადაწყვეტილებების სიას და აკრედიტაციასთან დაკავშირებული ფაქტების კონსტატაციას.

მოლდავეთის მხრიდან აკრედიტაციაზე უარის განცხადების ოფიციალური მიზეზი არ არსებობს. ENEMO მიიჩნევს, რომ უარი დამკვირვებლების აკრედიტაციაზე არის ხელოვნური, რომელიც ახდენს მთლიანად მისიისა და ENEMO წევრი სახელმწიფოების დისკრიმინაციას.

გამომდინარე იქედან, რომ ცესკო-ს გადაწყვეტილების მომენტში, დამკვირვებელთა უმეტესი ნაწილი იმყოფებოდა მოლდავეთის ტერიტორიაზე, მისიის ხელმძღვანელობამ განმეორებით მიმართა რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, ყველა დამკვირვებელზე აკრედიტაციის გაცემის თხოვნით. 27 ივლისს, სადამოს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ძალაში დატოვა თავისი წინა გადაწყვეტილება ამ საკითხთან დაკავშირებით. ENEMO მისიის 87 დამკვირვებელი კვლავაც დარჩნენ აკრედიტაციის გარეშე.

იმ მცირე ხნის განმავლობაში, როდესაც მისიის მოკლევადიანი დამკვირვებლები იმყოფებოდნენ მოლდავეთში (26-28 ივლისი, 2009 წ), რესპუბლიკის ოფიციალურმა ხელისუფლებამ განახორციელა საერთაშორისო დამკვირვებლების დისკრედიტაციის უპრეცედენტო ზომები. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობა და სხვა ძალები ცდილობდნენ მოლდავეთის საზოგადოების თვალში შეექმნათ ENEMO -ს მისიის ცრუ სახე, როდესაც მისიის დამკვირვებლებს აწერდნენ სხვადასხვა სახის ბრალდებებს, რომლებიც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს (კრიმინალური წარსული, მასობრივი არეულობების ორგანიზებაში მონაწილეობა). მოლდავეთის ხელისუფლების დესტრუქციული პოზიცია, არის ყოველგვარ საფუძველს მოკლებული, რამდენადაც, მისიის დამკვირვებლები წარმოადგენენ მოწინავე სამოქალაქო ორგანიზაციების ლიდერებს, ცენტრალურ-აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან, და ყოველთვის ასრულებენ თავიანთ სამუშაოს მაღალი პროფესიონალურ დონეზე, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ENEMO-ს წარმომადგენლების მიმართ მოლდავეთის ხელისუფლების შემდგომ არამეგობრულ ნაბიჯად იქცა მოლდავეთის ტერიტორიაზე 11 ქართველი დამკვირვებლის არშემვება. 27 ივლისს კიშინიოვის აეროპორტში მესაზღვრეებმა დააკავეს ქართული დელეგაციის წარმომადგენლები. აეროპორტში თითქმის ერთდღიანი დაკავების შემდგომ დამკვირვებლები გამოუშვეს უკან საქართველოში. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე გამოვიდნენ საპროტესტო ნოტით.

ENEMO-ს დამკვირვებლებისთვის აკრედიტაციის გაცემაზე განმეორებითი უარის შემდგომ, მისიის წარმომადგენლებს სამიგრაციო პოლიციასთან პრობლემები შეექმნათ. 27 ივლისს, სადამოს, დასვენების ბაზაზე, სადაც მისიის წარმომადგენლების უმრავლესობა ცხოვრობდა, სამიგრაციო სამსახურების 30-მდე წარმომადგენელი მივიდა. დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ მათ დააკავეს მისიის ხელმძღვანელი სერგეი ტკაჩენკო, გრძელვადიანი დამკვირვებელი ედილი ბაისალოვი და ისინი უცნობი მიმართულებით წაიყვანეს.

როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი სერგეი ტკაჩენკო დაკავებული ჰყავდათ საიმიგრაციო სამსახურის მთავარ ოფისში, სადაც დაჭინებით სთხოვდნენ, რომ ხელი მოეწერა დოკუმენტისთვის, რომლის საფუძველზეც ის 24 საათის განმავლობაში დატოვებდა მოლდავეთის ტერიტორიას. ENEMO-ს მისიის ხელმძღვანელმა ხელის მოწერაზე უარის განაცხადა, რადგანაც აღნიშნულ ფაქტს მიზანშეუწონლად მიიჩნევდა. ღამის 2 საათისთვის სერგეი ტკაჩენკო გაათავისუფლეს. ედილი ბაისალოვის ბედი კიდევ 12 საათის განმავლობაში რჩებოდა უცნობი მისი ახლობლებისთვის და მისიის ხელმძღვანელობისთვის. მხოლოდ მეორე დღეს გახდა ცნობილი, რომ ბაისალოვი მოლდავეთიდან დეპორტირებული იქნა, ისე რომ საკუთარი პირადი ნივთების წაღების შესაძლებლობაც კი არ მიეცა.

28 ივლისის დილის 6 საათზე მოლდავეთის საიმიგრაციო პოლიცია შეიჭრა ქალაქ ბელცში, სოროკში მდებარე სასტუმროებში და დააკავა ENEMO-ს დამკვირვებლები. შემდგომ, როგორც სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა კერძო საუბრებში აღიარეს, დამკვირვებლების დაკავების ბრძანება ჯერ კიდევ შუადღისას მიიღეს, თუმცა ბრძანების აღმსრულებლებმა დაარწმუნეს ხელმძღვანელობა, რომ დილაამდე მოეცადათ. მანამდე კი, სასტუმროს ნომრის შესასვლელში დააწესეს მორიგეობა.

რამდენიმე საათის განმავლობაში დაკავებულზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა, რათა მათ ხელი მოეწერათ დოკუმენტისთვის, 24 საათის განმავლობაში მოლდავეთის ტერიტორიის დატოვებასთან დაკავშირებით. ამ დროს საიმიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს თან ჰქონდათ დამკვირვებლების სია, რომელიც მათ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მიაწოდა. საიმიგრაციო პოლიციის მიერ დამკვირვებლების დაკავების მთავარ მიზეზად ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული აკრედიტაციის არქონა წარმოადგენდა და არა საპასპორტო რეჟიმის დარღვევა. ამის მიუხედავად, ENEMO-ს დამკვირვებლებმა უარი განაცხადეს ქვეყნის დატოვების შესახებ თანხმობის მიცემაზე.

ქალაქ სოროკში 5 უკრაინელი დამკვირვებელი სასამართლოს წინაშე წარდგა, რადგანაც ოფიციალური მოლდავეთის აზრით ისინი ქვეყანაში უკანონოდ შევიდნენ. დამკვირვებლები მართლაც შევიდნენ მოლდავეთის ტერიტორიაზე დნესპრისპირეთის გავლით. თუმცა, როგორც მოლდავეთში უკრაინის კონსულმა აღნიშნა, საზღვრის გადაკვეთის ესეთი გზა არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ხელშეკრულებებს. რამდენიმე საათის განმავლობაში დაკავებული უკრაინელი დამკვირვებლები მძიმე პირობებში იმყოფებოდნენ და მათზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლა.

რამდენიმე საათის განმავლობაში სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, დაეჯარიმებინათ და ქვეყნიდან გაეძევიებინათ უკრაინელი დამკვირვებლები. დამკვირვებლებს არც კი მიეცათ აპელაციის წარდგენის საშუალება. ხელისუფლების მიერ ორგანიზებული სისტემური სახის წინააღმდეგობების მიუხედავად, ENEMO-ს მისია მადლობას უხდის მოლდაველ ხალხს თბილი მიღებისა და კეთილგანწყობილი დამოკიდებულების გამო. გვწამს, რომ მოლდავეთში განხორციელდება პოზიტიური ცვლილებები მოქალაქეთა თავისუფლებებისა და უფლებების სრულფასოვანი დაცვის კუთხით.

## ცნობისათვის

ENEMO-ს მისია (არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების ევროპული ქსელი) გეგმავდა 2009 წლის 29 ივლისის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებზე დაკვირვებას მოლდავეთის რესპუბლიკაში.

2009 წლის 22 ივნისს, ENEMO-ს მისიის ხელმძღვანელობამ მიიღო მოლდავეთის რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მოწვევა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების დროს საარჩევნო პროცესის და კენჭისყრის მიმდინარეობის დაკვირვების შესახებ. მოსაწვევ წერილში ცენტრალური საარჩევნო კომისია გამოხატავდა იმედს, ჩვენ ორგანიზაციებს შორის ნაყოფიერი თანამშრომლობასა და ურთიერთობის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით. დაგეგმილი იყო, რომ მისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებდა 6 გრძელვადიანი და 100 მოკლევადიანი დამკვირვებელი დსთ-ს 12 ქვეყნიდან, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებიდან (უკრაინა, რუსეთი, ბელორუსია,

ჩერნოგორია, ალბანეთი, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ხორვატია, ყირგიზეთი და მაკედონია).

დამატებითი ინფორმაციისა და კომენტარების მიღებისათვის დაუკავშირდით:

მისიის ხელმძღვანელი - სერგეი ტკაჩენკო ([donetsk\\_cvu@ukr.net](mailto:donetsk_cvu@ukr.net), +380503121762);

გრძელვადიან დამკვირვებელი - ევგენი რადჩენკო (+380503108542)